ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 96/16-369

21 --12--- 2016 წელი

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი ინფრასტრუქტურის დირექტორის ვასილ ხორავას სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს ,,ზიმო", წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ კიკნაძის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ№25ბ (შემდგომში „მიმწოდებელი«), ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს გრძანების N13, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სს "საქართველოს რკინიგზის'' სახსრებით, დემონტაჟის სამუშაოს შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება დანართის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად, განახორციელოს სს ,,საქართველოს რკინიგზის" სალიანდაგო დეპარტამენტის ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ 19 პკ8-ში არსებული უფუნქციო რკინა-ბეტონის გზაგამტარის დემონტაჟი CPV კოდები – 45111300 (შემდგომში _ სამშენებლო სამუშაო).

2.2 SMP მოდულში რეგისტრაციის ნომერი SMP160003224.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს დღგ-ს გარეშე 49 000 (ორმოცდაცხრა ათასი) ლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით 57 820 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას რვაას ოცი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, როგორც დემონტაჟის მიმდინარეობისას, ასევე მისი დასრულების შემდგომ, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობების, ხარისხისა და ვადების კონტროლი, გარკვეულ შემთხვევებში იმ მომსახურებათა და მოწყობილობების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია დემონტაჟის შესრულებასთან.

წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის, ვადების, განხორციელების ადგილსა და საჭიროების მიხედვით სხვა აუცილებელი ინფორმაციის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი: დასავლეთის სალიადნაგო სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელოვნურ ნაგებობათა დარგში - ვამაკიძე ვლადიმერი 591 19 90 98, ასევე ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი.

4.2 შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

4.3.ხელშეკრულების ადმინისტრატორია: შალვა ჩხეიძე 591 19 08 06.

5. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ,,საქართველოს რკინიგზის" სალიანდაგო დეპარტამენტის ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ 19 პკ8-ში არსებული უფუნქციო რკინა-ბეტონის გზაგამტარის დემონტაჟის სამუშაოები თანდართული დანართის (ხარჯთაღრიცხვა) შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ადგილია: ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენი, კმ 19, პკ 8.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დემონტაჟის სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია დემონტაჟის სამუშაოთა შესრულებასთან.

5.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ საბოლოო ვადამდე დაასრულოს სამუშაოები და მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ამ ხელშეკრულების მე-6 მუხლის შესაბამისად.

5.5 დემონტაჟის სამუშაოების დასრულებას მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე დააფიქსირებს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შესრულებული დემონტაჟის სამუშაოების დეტალური ანგარიში (ფორმა №2) და სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ის დოკუმენტი (საგადასახადო ანგარიშფაქტურ(ები)ა, ინვოის(ებ)ი, სატრანსპორტო გადაზიდვის ზედნადებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მუშა პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და პირდაპირ დანახარჯებთან დაკავშირებული მიმწოდებლის მიერ დადგენილი ფორმით წარმოებული სხვა დოკუმენტაცია) რაც აუცილებელია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილების მოთხოვნების შესასრულებლად.

5.6 სამუშაოების განხორციელების ვადის ათვლა ჩერდება (პუნქტი 5.2) ექსპერტიზის პერიოდის ვადით. შესრულებულ სამუშაოებზე, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო (როგორც პირველი, ასევე ყოველი შემდგომი) ექსპერტიზისათვის დახარჯული ვადის ჩათვლით ამ ხელშეკრულების 14.1 პუნქტის

შესაბამისად. ხოლო დარიცხვა შეწყდება ექსპერტიზის მიერ დადებითი დასკვნის გაცემის დღეს ან წინამდებარე ხელშეკრულების 14.4 პუნქტით განსაზღვრული პირობის დადგომის შემთხვევაში.

5.7 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას (პუნქტი 5.5) შემსყიდველი ექსპერტიზისათვის გადასცემს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი.

5.8 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ, შესრულებულ სამუშაოში ხარვეზების არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოასწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესრულებული დემონტაჟის სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შემდეგ, 5.5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენის და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ ობიექტზე წარმოდგენილი დადებითი დასკვნის გათვალისწინებით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერების გზით.

6.1.1 შემსყიდველის მხრიდან შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენ:

ფილიალ „მგზავრთა გადაყვანა"-ს მოძრავი შემადგენლობის და ინფრასტრუქტურის დარგის;

- დასავლეთის სალიადნაგო სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელოვნურ ნაგებობათა დარგში.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის და ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მასზედ რომ მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დემონტაჟის სამუშაოები შეესაბამება დანართს (ხარჯთაღრიცხვა).

7.2. შესრულებულ დემონტაჟის სამუშაოებში რაიმე სახის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით, გამოასწოროს არსებული ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის, რომლის ხარჯებს სრულად აანაზღაურებს მიმწოდებელი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება, კონსიგნაციით, ეროვნულ ვალუტაში.

8.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 40 (ორმოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

- მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი)
- საგასახადო ანგარიშ-ფაქტურა
- ექსპერტიზის დასკვნა

8.4 შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

9. "შემსყიდველის" უფლება-მოვალეობანი

9.1. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს, მოსთხოვოს "მიმწოდებელს'' დემონტაჟის სამუშაოს დროული შესრულება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა და ნებისმიერი ვალდებულების შესრულება და «შემსყიდველის» წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების რეალიზაციისათვის ხელშეწყობა.

9.2. ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10. ,,მიმწოდებლის" მოვალეობანი

10.1. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია უზრუნველყოს დემონტაჟის სამუშაოს განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 აპრილამდე.

12. ფორს-მაჟორი

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წამოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

12.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):
ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
გ) ეპიდემიები;
დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;
ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწტვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
12.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
12.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა) და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული, აღნიშნული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის დამადასტურებელი ცნობა.
12.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
12.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა ,,შემსყიდველის« პირველადი რეგისტრაციის დროს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული საბოლოო ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს, ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით.
14.2. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები, რაც გამოვლენილ იქნება შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი) მიერ, შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა შეუსრულებელ სამუშაოთა დასრულებისათვის. თუ მიმწოდებლის მიერ ამ ვადაშიც არ იქნა დასრულებული სამუშაოები, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.
14.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით.
14.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს ან/და შემსყიდველს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს.

15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
16.2 შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მეორე მხარეს ამის შესახებ.
16.3 ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
16.4 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

16.5 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.6 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-16 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

16.7 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

16.8. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

16.9. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

16.10. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლიარად, სამი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.12. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სს ,,საქართველოს რკინიგზა''	შპს ,,ზიმო"
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი № 15	მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ N25ბ
ს/კ 202886010	ს/კ: 211338015
სს ,,საქართველოს ბანკი''	სს ,,ქართუ ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი:CRTUGE22
ა/ა GE09BG0000000128695301	ა/ა GE76CR0000002006193605
---	ტელ: 2 62 22 32/33
ვასილ ხორავა	---
ინფრასტრუქტურის დირექტორი	ზურაბ კიკნაძე
	დირექტორი

ჩაქვი-ქობულეთის რკინიგზის გადასარბენზე მდებარე გაუქმებული
რკინა-ბეტონის გზაგამტარის დემონტაჟის

ხარჯთაღრიცხვა

სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება ლარი	მთლიანი ღირებულება ლარი
2	3	4	5	6
მოსამზადებელი სამუშაოები				
– საგზაო ნიშნების დაყენება და დემონტაჟი სამუშაოების დამთავრების შემდეგ	ც	12.00	120.00	1440.00
– ინვენტარული ხარაჩოების მონტაჟი და დემონტაჟი 4 ჯერად	$მ^2$	40.00	20.00	800.00
– საავტომობილო მოძრაობის სქემების შედგენა, საპატრულოდან არაგაბარიტული და მძიმეწონიანი ტვირთების ტრანსპორტირებაზე ნებართვის მიღებისათვის საჭირო ღონისძიებები	ც	1.00	4510.00	4510.00
– რკინიგზის ხიდის კოჭებს შორის შედუღების ნაკერის გაჭრა და ნაყრდენი ნაწილებიდან მათი აჭრა ჟანგბად-პროპანის აპარატით	გრძ.მ.	30.00	100.00	3000.00
– კოჭების ზედაპირის - სავალი ნაწილის ვარცლის გასუფთავება ღორღისაგან ხელით, დატვირთვა ურიკებზე და გატანა 50 მ-პმდე მანძილზე	$მ^3$	30.000	40.00	1200.00
– ღორღის დატვირთვა ა/თვითმცლელებზე ხელით	$მ^3$	30.000	20.00	600.00
– ღორღის ტრანსპორტირება ავტომანქანებით 5 კმ-მდე მანძილზე ნაყარში	ტ	45.000	10.00	450.00
რკინაბეტონის კოჭების დემონტაჟი, ტრანსპორტირება და დაცლა-დასაწყობება მითითებულ ადგილზე				
– 100 ტ-იანი წის მობილიზება ობიექტამდე უკან	ჯერადი	1.00	7000.00	7000.00
– რკინიგზის კოჭების დემონტაჟი 100 ტ-იანი ამწით დატვირთვა სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებაზე	ც	4.00	2500.00	10000.00
– სპეც. სატრანსპორტო საშუალებით რკ. ბეტონის კოჭების გადატანა 1 კმ-მდე მანძილზე	ც	4.00	3000.00	12000.00
– 100 ტ-იანი ამწით რკინაბეტონის კოჭების დაცლა-დასაწყობება მითითებულ ადგილზე	ც	4.00	2000.00	8000.00
სულ				**49000.00**
დღგ 18%				8820.00
მთლიანი ღირებულება				**57820.00**

შპს „ზიმო"-ს გენ. დირექტორი: ზ. კიკნაძე

1	ხელშეკრულება №	96/16-369	3	ხელშეკრულების საგანი: ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი ქობულეთის გადასარბენზე, კმ19 პკ8-ში არსებული, უფუნქციო გზაგამტარი ხიდის რკინა ბეტონის კოჭების დემონტაჟი
2	კონტრაგენტი	შპს "ზიმო"	4	მიმღები დეპ/სამ. სალიანდაგო დეპარტამენტი

ხელშეკრულების რანგი	კურატორი დირექტორის მიერ განსაზღვრული			გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული		
	რანგი			რანგი		
	I ☑	II ☐	III ☐	I ☐	II ☐	III ☐

5	ხელშეკრულების ადმინისტრატორი	საინჟინრო ნაგებობების ცენტრის უფროსი		
		თანამდებობა		
		ჩხეიძე შალვა		
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი
6	დირექტორი	ხორავა ვასილ		
		გვარი, სახელი	ხელმოწერა	თარიღი

ს/ს "საქართველოს რკინიგზა"
გენერალური დირექტორი
"06" 12 2016 წ.
N

1-902/01

ს/ს "საქართველოს რკინიგზის"
დირექტორთა საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№33/50 2016 წლის 29 ნოემბერი ქ. თბილისი

ს/ს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ბალანსზე რიცხული, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენის კმ19 პკ8-ში მდებარე, უფუნქციოდ დარჩენილი ძველი გზაგამტარი ხიდის ჩამოწერა-დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების სახით ბალანსზე ასახვის შესახებ.

1. ცნობად იქნას მიღებული, ს/ს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფარასტრუქტურის ფილიალის" 2016 წლის 29 ნოემბრის N54267 მოხსენებითი ბარათი.

2. ს/ს „საქართველოს რკინიგზის" დირექტორთა საბჭოს 2015 წლის 3 ივლისის N17/28 დადგენილებით დამტკიცებული და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული (ოქმი N15; 16.07.15წ.) „ს/ს „საქართველოს რკინიგზის" საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ნივთების განკარგვის წესი"-ს, მუხლი 3-ის („ქონების" ბალანსიდან ჩამოწერა) თანახმად, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ს/ს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს ბალანსზე რიცხული, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენის კმ19 პკ8-ში მდებარე, უფუნქციოდ დარჩენილი, ძველი გზაგამტარი ხიდის (დანართი N1) ჩამოწერა-დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მიღებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების სახით ბალანსზე ასახვა.

3. ს/ს „საქართველოს რკინიგზაში" წინამდებარე დადგენილების მეორე პუნქტით გათვალისწინებული ხიდის დემონტაჟისა და განსაზღვრულ ადგილას ჩალაგებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებების უქონლობის გამო, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, შესაბამისი სამუშაოების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, შპს „ზიმო"-საგან.

4. წინამდებარე დადგენილება შესათანხმებლად გადაეგზავნოს ს/ს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს.

ЕК/16-369

5. წინამდებარე დადგენილების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საკითხი ცნობის სახით გადაეგზავნოს საპარტნიორო ფონდს.

6. სს „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის მიღების შემთხვევაში:

6.1. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტს (გ.კაციტაძე) შესაბამისი ტექნიკური დავალებისა და მოთხოვნა-დაკვეთის მომზადება და წარდგენა ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოში;

6.2. ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ი.კერვალიშვილი) უზრუნველყოს ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტის 2016 წლის ბიზნეს-გეგმის შესაბამისი კორექტირება;

6.3. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის" ოპერაციათა მართვის დეპარტამენტის შესყიდვების სააგენტოს (თ.ფერაძე) ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტის მიერ წარდგენილი მოთხოვნა-დაკვეთისა და ტექნიკური დავალების საფუძველზე, უზრუნველყოს აღნიშნული სამუშაოების შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით;

6.4. სს „საქართველოს რკინიგზის" ინფრასტრუქტურის დირექტორმა (ვ.ხორავა) უზრუნველყოს აღნიშნული აქტივების ჩამოჭრა-დემონტაჟის მიზნით, შესაბამისი კომისიების შექმნაზე ბრძანების გამოცემა;

6.5. დაევალოს სს „საქართველოს რკინიგზის" ფილიალ „საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის ფილიალის" სალიანდაგო დეპარტამენტის დასავლეთის სალიანდაგო სამმართველოს (ლ.ლომაძე) კომისიური წესით, უზრუნველყოს:

- ჩამოსაწერი ძირითადი აქტივის ნარჩენი ღირებულების დადგენის აქტების მომზადება, აუდიტორული დამოწმებით;

- აღნიშნული აქტივების („ქონება") ფაქტიური დაშლის შემდეგ ლიკვიდაციის აქტების და ძირითადი აქტივის ლიკვიდაციის შედეგების მომზადება, აუდიტორული დამოწმებით; .

6.6. ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამსახურმა (თ.ჯგერენაია) უზრუნველყოს აღნიშნული აქტივების ბალანსიდან მოხსნა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

7. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის" ინფარასტრუქტურის დირექტორმა (ვ.ხორავა).

დირექტორთა საბჭოს
თავმჯდომარე

მ.ბახტაძე